

აგერძაობის, საქართველოსა და სომხეთის  
მოგარეთა რეპროდუციული ჯანმრთელობის  
კვლევების შეღებების შედარებითი ანალიზი

2009



ახალგაზრდების რეპორტაჟიული ჯანმრთელობა –  
ინიციატივა სამხრეთ კავკასიაში

ჯ. ქრისტესაშვილი, პ. ზარდიაშვილი

**აზერბაიჯანის, საქართველოსა და  
სომხეთის მობარდთა რეპროდუქციული  
ჯანმრთელობის კვლევების შედეგების  
შედარებითი ანალიზი**

თბილისი  
2009

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ თანადაფინანსებული პროექტის “ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობა – ინიციატივა სამხრეთ კავკასიაში” ფარგლებში.

შედარებითი ანალიზი მომზადებულია “კულტურალური კვლევების ცენტრის” მიერ აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში ჩატარებული მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების მონაცემთა საფუძველზე.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის და გაეროს მოსახლეობის ფონდის თვალსაზრისს, მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მხოლოდ ავტორები.

ISBN 978-9941-0-1937-1

# სარჩევი

მადლიერების გამოხატვა.....	4
შესავალი.....	5
მიზანი.....	6
მეთოდოლოგია.....	6
შედარებითი ანალიზის შედეგები.....	7
გამოკითხულ მოზარდთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები .....	7
რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან და სქესთან დაკავშირებული საკითხები .....	8
განათლება სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.....	11
ინფორმირებულობა და ცოდნა სქესობრივი განვითარების შესახებ.....	14
სქესობრივი ურთიერთობები: შეხედულებები, ქცევა.....	18
აბორტი და კონტრაცეპცია: ინფორმირებულობა, ცოდნა,	
გამოყენება, შეხედულებები.....	24
მოზარდთა რეპროდუქციული გეგმები და ფუნქცია .....	28
სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები: <u>ინფორმირებულობა,</u>	
ცოდნა, შეხედულებები .....	28
მოზარდთა მიერ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურების	
გამოყენება და თვითშეფასება .....	31
დასკვნები.....	33

პუბლიკაციის სრული ვერსია კითხვარებითა და ცხრილებით იხილეთ

<http://www.foryouth.ge/elibrary>

## მადლიერების გამოხატვა

პროექტი გამოხატავს უდრმეს მადლიერებას იმ ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს შედარებითი ანალიზის ჩატარებაში ეროვნული კვლევების შედეგების წარმოდგენით:

- სრულიად სომხეთის ასოციაცია “ოჯახისა და ჯანმრთელობისათვის”
- აზერბაიჯანული კომპანია “მარკეტინგული ცენტრი ერა”
- საქართველოს კულტურალური კვლევების ცენტრი

## შესავალი

ევროპაგშირისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ თანადაფინანსებული პროექტის “ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობა – ინიციატივა სამხრეთ კავკასიაში” ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდობის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება მათი ინფორმირებულობის, ცოდნის, შეხედულებების, ქცევისა და საჭიროებების გათვალისწინებით ამ სფეროში. ამ მიზნის განხორციელებისათვის აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში იდენტური კითხვარისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩატარდა 14-19 წლის ორივე სქესის მოზარდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის რაოდენობრივი კალევები.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა აღნიშნულ ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მონაცემების შედარებითი ანალიზის შედეგები. ანალიზის საფუძველზე გარდა მსგავსებისა, გამოვლინდა მთელი რიგი სპეციფიური განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, რაც ალბათ აიხსნება თვითოვეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი კულტურ-ტრადიციული, ეკონომიკური და საგანმანათლებლო სისტემების თავისებურებებით.

შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლენილი ეროვნული და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების გაუმჯობესებაზე მიმართული როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებას და ეფექტიან განხორციელებას.

## მიზანი

შედარებითი ანალიზის ძირითადი მიზანი იყო აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში მოზარდების რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმირებულობის, ცოდნის, შეხედულებების და ქცევის სპეციფიური თავისებურებების გამოვლენა რჯ სფეროში ადეკვატური პოლიტიკის შემუშავებისა და სათანადო რეფორმების განხორციელებისათვის როგორც ქვეყნის შიდა, ასევე რეგიონული თანამშრომლობის თვალსაზრისით.

## მეთოდოლოგია

კვლევები სამივე ქვეყანაში ჩატარდა მსგავსი მეთოდოლოგიით იდენტური კითხვარის გამოყენებით.

გამოკვლევები ტარდებოდა ინდივიდუალური გამოკითხვის, კერძოდ, ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის პრინციპების მიხედვით, შემთხვევითობის მაქსიმალური დაცვით.

შერჩევის საფუძვლად გამოყენებულ იქნა მოსახლეობის ბოლო აღწერათა მონაცემები.

ინტერვიუერებს მიეწოდათ შერჩევის გეოგრაფიული წერტილები (ბაქოს, ერევნისა და თბილისის რაიონების მიხედვით) და გადაადგილების სივრცითი არეალი ქუჩების მიხედვით.

ძირითად კვლევამდე ჩატარდა პილოტაჟური კვლევები, რის საფუძველზე განხორციელდა კითხვარის სათანადო კორექტირება.

შეირჩნენ ინტერვიუერები, რომელთაც ჩაუტარდათ შესაბამისი ტრეინინგები.

შერჩევის ნიშნებად არჩეულ იქნა სქესი, ასაკი და საცხოვრებელი ადგილი (რაიონი).

გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დამუშავებულ იქნა პროგრამით **SPSS v.13**.

კითხვათა ბლოკები მიმართული იყო ძირითადად მოზარდთა ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის შესასწავლად შემდეგი საკითხების შესახებ:

- სქესი და რეპროდუქციულ ჯანმრთელობა
- განათლება სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით
- ინფორმირებულობა და ცოდნა სქესობრივი მომწიფების შესახებ
- დამოკიდებულება სქესობრივი ურთიერთობებისადმი
- კონტრაცეპცია
- აბორტი
- ორსულობა
- მშობიარობა
- დამოკიდებულება ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ
- ინფორმირებულობა და ცოდნა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ
- ვიზიტი ექიმთან რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით
- ჯანმრთელობის მდგომარეობის თვითშეფასება

# შედარებითი ანალიზის შედეგები

## გამოკითხულ მოზარდთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები


რესპონდენტების უდიდესი ნაწილი სამივე ქვეყანაში ქორწინებაში არასოდეს იმყოფებოდა (სომხეთი – 98,7%, აზერბაიჯანი – 99,5%, საქართველო – 99,2%). ქორწინებაში მყოფთა მცირე წილიდან სომხეთში ყველა მათგანი დაქორწინებული იყო როგორც რელიგიურად, ასევე იურიდიულად, საქართველოში უმეტესი წილი – მხოლოდ რელიგიურად, უფრო მცირე წილი კი – როგორც რელიგიურად, ასევე იურიდიულად. აზერბაიჯანში ქორწინების სამივე ტიპი თითქმის თანაბარი წილებით იყო წარმოდგენილი. თანაცხოვრებაში მყოფი იყვნენ სომხეთში და საქართველოში და არ გამოვლინდნენ აზერბაიჯანში (ცხრილი 1).

14-19 წლის მოზარდთა შორის მოსწავლეებმა შეადგინა უმრავლესობა საქართველოში (64,6%) და აზერბაიჯანში (61,8%), ხოლო სომხეთში მათი წილი 44,3% იყო. მოსწავლეთა წილი, რომლებიც ასევე მუშაობდნენ, ყველაზე მაღალი აღმოჩნდა სომხეთში (8,7%), მაშინ როდესაც საქართველოში (1,4%) და აზერბაიჯანში (0,9%), ასეთთა წილი მეტად მცირე იყო. სტუდენტთა წილი, რომლებიც არ მუშაობდნენ შედარებით მაღალი იყო საქართველოში (23,1%) და აზერბაიჯანში (22,5%), სომხეთში მაჩვენებელმა 16,2% შეადგინა. მოუშავე სტუდენტთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა სომხეთში (13%), მაშინ როდესაც აზერბაიჯანში (3,5%) და საქართველოში (2,7%) ასეთთა სიხშირე ბევრად ნაკლები იყო (ცხრილი 1).

სკოლადამთავრებულთა დიდი უმრავლესობა სომხეთში (86,6%) და საქართველოში (73,7%) იმყოფება მშობელთა კმაყოფაზე, ხოლო აზერბაიჯანში ასეთთა წილი 47%-ს შეადგენს. დამოუკიდებელ (ცხოვრებას გამოკითხულთა ყველაზე მეტი წილი ეწევა აზერბაიჯანში (18,4%), შემდეგ სომხეთში (10,2%) და მცირე წილი – საქართველოში (4,2%).

### დიაგრამა 1

მოზარდების ეკონომიკური სტატუსი (%)




აზერბაიჯანში სკოლადამთავრებულ მოზარდთა დაახლოებით მესამედი ეწევა დამოუკიდებელ ცხოვრებას და ამასთან მათ მშობლებიც ებმარებიან, საქართველოში ასეთი მოზარდების წილი 22,2%-მდეა, მაშინ როდესაც სომხეთში მოზარდთა შესაბამისი ჯგუფი მეტად მცირე წილით იყო წარმოდგენილი (3,2%).

მეტად საინტერესო აღმოჩნდა რესპონდენტთა განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით (დიაგრამა 1, ცხრილი 1). აზერბაიჯანში გამოკითხულ მოზარდთა უმრავლესობის ეკონომიკური სტატუსი მაღალი იყო (75,6%), მაშინ როდესაც საქართველოში (73,8%) და სომხეთში (81,5%) მათი უმრავლესობის სტატუსი საშუალოთი განისაზღვრა.

## რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან და სქესთან დაკავშირებული საკითხები

ქორწინების საუკეთესო ასაკზე შეხედულების მიხედვით ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლინდა (ცხრილი 2). ქორწინებისათვის საუკეთესო საშუალო ასაკი როგორც ქალებისათვის, ასევე ვაჟებისათვის უმნიშვნელოდ მაღალი იქნა დასახელებული აზერბაიჯანელი მოზარდების მიერ (დიაგრამა 2, ცხრილი 2).

### დიაგრამა 2



გოგონების შედარებით უფრო დიდი წილი, ვიდრე ვაჟების როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში და სომხეთში ქორწინების საუკეთესო ასაკად ვაჟებისათვის მიიჩნევს 25-29 წელს, თუმცა ვაჟების უფრო მეტი წილი ასეთ ასაკად ვაჟებისათვის 20-24 წელს ასახელებს. ქალებისათვის ქორწინების საუკეთესო ასაკად სამივე ქვეყანაში რესპონდენტთა უმრავლესობამ 20-24 წელი დაასახელა, უფრო ხშირად გოგონებმა.


ქორწინების ფაქტობრივი ასაკის განხილვა ქორწინებაში მყოფი მოზარდების მცირებიცხოვნების გამო ვერ გამოავლენდა რეალურ ტენდენციებს, თუმცა მცირე მასალაზეც ჩანს, რომ ქორწინების ფაქტობრივი ასაკი რესპონდენტებში, მათი შეხედულებით ქორწინებისათვის საუკეთესოდ დასახელებულ ასაკზე ნაკლებია (ცხრილი 2a).

სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოკითხული მოზარდებისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს სამივე ქვეყანაში თანატოლები წარმოადგენენ, უფრო ხშირად აზერბაიჯანში (ცხრილი 3). ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს მოზარდებისათვის სამივე ქვეყანაში

ასევე მშობლები წარმოადგენენ, თუმცა სომხეთში შედარებით ნაკლები სიხშირით. სომხეთში მშობლებზე უფრო ხშირად ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე მოზარდები ტელევიზიით იღებენ. საქართველოში და აზერბაიჯანში მოზარდებისათვის ტელევიზია 3-ჯერ უფრო იშვიათად წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე ვიდრე სომხეთში (დიაგრამა 3, ცხრილი 3).

### დიაგრამა 3


**მოზარდების ინფორმაციის ძირითადი წყაროები სქესთან  
დაკავშირებულ საკითხებზე (%)**



საინტერესოა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანში სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროს ვაჟებისათვის ყურანი წარმოადგენს, თუმცა მეტად მცირე სიხშირით (ცხრილი 3). მსგავსი ტენდენციები გამოვლინდა ქვეყნებში მოზარდთა სქესის მიხედვით ანალიზის შედეგად. მშობლებისაგან ინფორმაციას მნიშვნელოვნად უფრო ხშირად იღებენ გოგონები, ვიდრე ვაჟები, ხოლო თანატოლებისა და ინტერნეტის შემთხვევაში კი - პირიქით. თუმცა გამონაკლისს თანატოლებთან დაკავშირებით საქართველო წარმოადგენს, სადაც გოგონები უმნიშვნელოდ უფრო ხშირად იღებენ ინფორმაციას თანატოლებისაგან, ვიდრე ვაჟები. მნიშვნელოვანი სხვაობები გამოვლინდა ქვეყნების მიხედვით სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის წყაროების სანდოობასთან დაკავშირებით (დიაგრამა 4, ცხრილი 3).

## დიაგრამა 4

**მოზარდებისათვის სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებული  
ინფორმაციის ძირითადი წყაროების სანდოობა (%)**



ექიმისაგან მიღებულ ინფორმაციას სომხეთში და საქართველოში ყველაზე უფრო ხშირად განიხილავენ სანდოდ, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში, ასეთად თანატოლებს მიიჩნევენ. ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ სანდოობის მიხედვით საქართველოსა და აზერბაიჯანში მშობლებს თვლიან, სომხეთში კი ინფორმაციის სანდო წყაროდ მშობლებთან შედარებით უფრო ხშირად წიგნებსა და ბროშურებს განიხილავენ. მიუხედავდა იმისა, რომ სომხეთში მოზარდებისათვის ტელევიზია სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებული ინფორმაციის ერთ-ერთ ხშირ წყაროს წარმოადგენს, მისი სანდოობა მეტად დაბალია.

აზერბაიჯანში და საქართველოში რესპონდენტების ყველაზე მეტი წილი მიიჩნევს, რომ სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე უფრო მეტი იციან ვაჟებმა, სომხეთში კი გამოკითხული მოზარდების უმეტესობის აზრით ვაჟებმა და გოგონებმა ერთნაირად იციან აღნიშნული საკითხები (ცხრილი 4).

მოზარდების დიდი წილი სომხეთში და აზერბაიჯანში თვლის, რომ სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე თავისუფალი საუბარი დასაშვებია, საქართველოში კი უმეტესობის აზრით ამ თემებზე საუბარი მეტ-ნაკლებად არის დასაშვები. განსხვავებული სიტუაცია გამოვლინდა იმასთან დაკავშირებით თუ ვისთან საუბრობენ მოზარდები ძირითადად სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე. საქართველოსა და აზერბაიჯანში მოზარდების უმეტესობისათვის ეს თანატოლები არიან. სომხეთში მოზარდები სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრობენ როგორც თანატოლებთან, ასევე თითქმის თანაბარი სისმირით ექიმთან, მშობლებთან და ინტერნეტის საშუალებით ნაცნობთან (ცხრილი 4).

## განათლება სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით


მეტად საინტერესო აღმოჩნდა რესპონდენტთა შეხედულებების ანალიზის შედეგები ქვეყნების მიხედვით იმასთან დაკავშირებით, თუ სად და როდის უნდა მიიღონ მოზარდებმა ცოდნა სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ცხრილი 5).

დადგინდა, რომ სომხეთში გამოკითხულ მოზარდთა ნახევრის აზრით აღნიშნული საკითხები უნდა ისწავლებოდეს როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთ, მათი თითქმის მესამედის აზრით – სკოლაში და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი (3,0%) მიიჩნევს, რომ სქესთან დაკავშირებული საკითხები არ უნდა ისწავლებოდეს. განსხვავებული სიტუაცია გამოვლინდა აზერბაიჯანში და საქართველოში.

აზერბაიჯანში რესპონდენტთა თითქმის ნახევრის აზრით მოზარდებმა ცოდნა სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა მიიღონ სკოლაში, მათი მეოთხედის აზრით – სკოლის გარეთ, ხოლო მოზარდების ერთი მეხუთედი თვლის, რომ ამ საკითხების სწავლება არ უნდა ხდებოდეს საერთოდ. საქართველოში მოზარდთა თითქმის თანაბარი წილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხების სწავლება უნდა ხდებოდეს სკოლაში (38.1%), ან საერთოდ არ უნდა ისწავლებოდეს (36.5%) (დიაგრამა 5, ცხრილი 5).

### დიაგრამა 5


სად უნდა მიიღონ მოზარდებმა ცოდნა სქესთან და რეპროდუქციულ  
ჯანმრთელობასთან დაკავშირებით (%)



მთლიანობაში, სომხეთში გამოკითხულ მოზარდთა ძირითადი უმრავლესობა (93,7%) თვლის, რომ სქესთან დაკავშირებული საკითხები უნდა ისწავლებოდეს, აზერბაიჯანში ასეთთა წილი უფრო ნაკლებია (76,4%), საქართველოში კი - კიდევ უფრო ნაკლები (52,9%) (დიაგრამა 6, ცხრილი 5).

## დიაგრამა 6

მოზარდების აზრი, უნდა ისწავლებოდეს თუ არა სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები (%)




დადგინდა, რომ სომხეთში გამოკითხულ მოზარდთა უმრავლესობის აზრით სქესთან დაკავშირებულ საკითხებზე სწავლება უნდა იწყებოდეს V-VIII კლასებიდან, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში და საქართველოში ასეთი სწავლების ვადებად უხშირესად უფრო გვიანი პერიოდი განიხილება (IX-XI კლასები) (დიაგრამა 7, ცხრილი 5).

სომხეთში, ისევე როგორც საქართველოში რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოზარდებს ცოდნას უნდა აწვდიდეს სპეციალურად მომზადებული პირი. სომხეთში ასეთ პიროვნებად გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მეოთხედი სკოლის ექიმს მიიჩნევს. აღნიშნული საკითხების შესახებ ცოდნის მიმწოდებლად მოზარდთა საკმაო ნაწილი ბიოლოგიის მასწავლებელს განიხილავს. განმანათლებლის ყველაზე მისაღებ ასაკად სამივე ქავებაში 30-39 წელს ასახელებენ (ცხრილი 6).

## დიაგრამა 7

**როდის უნდა მიიღონ მოზარდებმა ცოდნა სქესთან და რეპროდუქციულ  
ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (%)**



მეტად საინტერესო იყო მოზარდთა საჭიროებების დადგენა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მეტი ინფორმაციის მიღების შესახებ (ცხრილი 7). აღმოჩნდა, რომ სომხეთში მოზარდთა 37,4%-დან 76,5%-მდე ნაწილს სჭირდება მეტი ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობის ცალკეულ საკითხებზე. აღნიშნულ საკითხებში მეტი ინფორმაციის საჭიროების მიხედვით გოგონებსა და ვაჟებს შორის გამოვლენილი სხვაობები შემთხვევათა უმრავლესობაში მსგავსი ტენდენციებით ხასიათდებოდა სომხეთში და აზერბაიჯანში. კერძოდ, უფრო მეტი ინფორმაცია დაორსულების, ორსულების დადგენის, ორსულობის მიმდინარეობის, მშობიარობის, სგვინძისა და აივ/შიდსი-ს, სქესობრივი თავშეკავების, კონტრაცეპციის და განუზრახავი ორსულობის შეწყვეტის შესახებ უფრო ხშირად სჭირდებათ გოგონებს, მაშინ როდესაც სგვინძისა და აივ/შიდსი-ს თავიდან აცილებისა და სქესობრივი მოთხოვნილების თვითდაკმაყოფილების შესახებ ინფორმაციას ვაჟების უფრო მეტი ნაწილი საჭიროებს, ვიდრე გოგონებისა. საქართველოში მეტ-ნაკლებად განსხვავებული სიტუაცია გამოვლინდა. მეტ ინორმაციას ორსულობის დადგენის, ორსულობის მიმდინარეობის და მშობიარობის შესახებ ვაჟები უფრო ხშირად საჭიროებენ, ვიდრე გოგონები. ხოლო სგვინძისა და აივ/შიდსი-ს თავიდან აცილებისა და სქესობრივი მოთხოვნილების თვითდაკმაყოფილების შესახებ მეტ ინფორმაციას საჭიროებენ, ვიდრე გოგონები. სამივე ქვეყანაში მას უფრო ხშირად საჭიროებენ გოგონები, ვიდრე ვაჟები.

რაც შევხება ინფორმაციას სქესობრივი კავშირის დამყარების შესახებ სამივე ქვეყანაში მას უფრო ხშირად საჭიროებენ გოგონები, ვიდრე ვაჟები.

სამივე ქვეყანაში მოზარდთა ასაკის მატებასთან ერთად იკლებდა დამატებითი ინფორმაციის მიღების საჭიროების სისშირე.

## ინფორმირებულობა და ცოდნა სქესობრივი განვითარების შესახებ


მეტად მნიშვნელოვანი იყო მოზარდთა ცოდნის დონის დადგენა პუბერტატის მიმდინარეობის ფიზიოლოგიური ვარიაციებისა და პათოლოგიების შესახებ (ცხრილი 8). კვლევებით დადგინდა, რომ სამივე ქვეყანაში აღნიშნულ საკითხებში მოზარდებს აქვთ არასრულყოფილი, ან არასწორი ცოდნა (უფრო ხშირად სომხეთში), რაც მიუთითებს იმაზე, რომ უფროსების ჩარევის გარეშე მოზარდებს არ შეუძლიათ იმის განსაზღვრა თუ რა შემთხვევაში უნდა მიმართონ ექიმს სქესობრივი მომწიფების პერიოდში გამოვლენილი დარღვევების გამო. ყოველივე ეს კი უდაოდ უარყოფითად აისახება მოზარდთა ჯამრთელობაზე.

მოზარდ გოგონათა უმრავლესობას სამივე ქვეყანაში მენსტრუაციის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა მიღებული მის დაწყებამდე, სომხეთში – 87,5%-ს, აზერბაიჯანში – 70,6%-ს, საქართველოში – 80%-ს (ცხრილი 9). მენსტრუაციების დაწყებამდე ნორმალური მენსტრუაციული ციკლისა და მისი დარღვევების შესახებ, რესპონდენტთა აზრით, ცოდნას ფლობდა გოგონათა დაახლოებით ნახევარი სამივე ქვეყანაში. თუმცა მენსტრუაციული ციკლის ცალკეული დარღვევების შეფასებისას სწორი პასუხების ყველაზე მაღალი სიხშირე დაფიქსირდა სომხეთში.

აზერბაიჯანში და საქართველოში მენსტრუაციის შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის ძირითად წყაროს მოზარდი გოგონებისათვის დედა წარმოადგენს (დიაგრამა 8, ცხრილი 9).

### დიაგრამა 8


მენსტრუაციული ციკლის შესახებ ინფორმირება-ცოდნის მიღების ძირითადი წყაროები მოზარდი გოგონებისათვის (%)



გოგონათა ერთი მეუთედი საქართველოში და ოდნავ ნაკლები წლილი (14,9%) აზერბაიჯანში ინფორმაციას მენსტრუაციის შესახებ თანატოლებისგანაც იღებს. განსაკუთრებული სიტუაცია გამოვლინდა სომხეთში, სადაც გოგონები ინფორმაციას და ცოდნას დედისა და თანატოლების გარდა ასევე ხშირად იღებენ ბეჭვდითი მედიის საშუალებით. მენსტრუაციის შესახებ მოზარდი გოგონების უმრავლესობის ინფორმირება სომხეთში და აზერბაიჯანში 13-15 წლის ასაკში ხდება, მაშინ როცა საქართველოში ინფორმაციის მიღება უხშირესად უფრო ადრე, 10-12 წლის ასაკში აღინიშნა (დიაგრამა 9, ცხრილი 9).

## დიაგრამა 9

მოზარდი გოგონების განაწილება (%) მენსტრუაციული ციკლის  
შესახებ ცოდნის მიღების ასაკის მიხედვით




ამგვარად, მენსტრუაციის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალო ასაკია სომხეთში 13.3წ., აზერბაიჯანში 13.0წ., ხოლო საქართველოში 11.96წ. შეადგინა.

გამოკითხული მოზარდი ვაჟების ნახევარზე მეტს (60,0%) სომხეთში დამის პოლუციების შესახებ პირველ ეაკულაციამდე არ ჰქონდა ინფორმაცია, აზერბაიჯანში ვაჟების უმრავლესობა (81.1%) ფლობდა ამ ინფორმაციას, საქართველოში კი აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო რესპონდენტთა ნახევარი (ცხრილი 10). მსგავსი ტენდენცია სისშირეების მიხედვით გამოვლინდა რესპონდენტთა შორის იმის შესახებაც, იცოდნენ თუ არა მათ, რომ დამის პოლუციები სქესობრივი მომწიფებისათვის დამახასიათებელი ნორმალური მოვლენაა (დიაგრამა 10, ცხრილი 10). ამასთან, სომხეთში ამ საკითხის მცოდნეობა წილი უფრო ნაკლები აღმოჩნდა (12,5%).

## დიაგრამა 10

იცოდნენ თუ არა მოზარდმა ვაჟებმა, რომ დამის პოლუციები სქესობრივი მომწიფებისათვის დამახასიათებელი ნორმალური მოვლენაა (%)




დადგინდა, რომ სომხეთში მოზარდი ვაჟების უმრავლესობას აქვს სწორი ცოდნა პუბერტატში მიმდინარე სხვა ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების შესახებ. აზერბაიჯანელი და ქართველი ვაჟების უმეტესობის ცოდნა კი აღნიშნულ საკითხებში არასრულყოფილი აღმოჩნდა (ცხრილი 10).

გოგონებისაგან განსხვავებით, მოზარდი ვაჟების მეტად მცირე ნაწილი იღებს მშობლებისაგან ინფორმაციას სქესობრივი განვითარების შესახებ სამივე ქვეყნაში, განსაკუთრებით აზერბაიჯანში (ცხრილი 10). აღნიშნულ საკითხებში აზერბაიჯანელი მოზარდი ვაჟების უმრავლესობა (85,5%) ინფორმაციას იღებს თანატოლებისაგან. საქართველოში ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს თანატოლებთან თანაბრად უფროსი ასაკის ნაცნობები წარმოადგენებ (32,3% და 34,7% შესაბამისად), მაშინ როდესაც სომხეთში ინფორმაციის ძირითად წყაროდ თანატოლებთან ერთად წიგნები, ბეჭვდითი მედია და ექიმი გვევლინება (დიაგრამა 11, ცხრილი 10).

## დიაგრამა 11


**სქესობრივი განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები მოზარდი ვაჟებისათვის (%)**



სქესობრივი განვითარების შესახებ ცოდნის მიღების ასაკის მიხედვით მსგავსი სიტუაცია გამოვლინდა სომხეთში და საქართველოში, სადაც შემთხვევათა უმრავლესობაში ეს ასაკი 13-15 წელს შეადგენდა (67,5% და 63,2% შესაბ). აზერბაიჯანში და სომხეთში აღნიშნულ საკითხებში ცოდნა მოზარდი ვაჟების საკმაოდ დიდ წილს უკვე 10-12 წლის ასაკიდან პქონდა (ცხრილი 10). ამგვარად, სქესობრივი განვითარების შესახებ ცოდნის მიღების საშუალო ასაკმა სომხეთში 13,0წ., აზერბაიჯანში 13,0წ., საქართველოში 13,7წ. შეადგინა (დიაგრამა 12, ცხრილი 10).

## დიაგრამა 12

მოზარდი ვაჟების მიერ სქესობრივი განვითარების შესახებ  
ინფორმირება – ცოდნის მიღების ასაკი (%)




## სქესობრივი ურთიერთობები: შეხედულებები, ქცევა

განსაკუთრებული ინტერესს წარმოადგენდა სამი ქვეყნის მოზარდების სქესობრივი ქცევისა და სქესობრივი ურთიერთობებზე მათი შეხედულებების შედარებითი ანალიზი.

### დიაგრამა 13

მოზარდების შეხედულება სქესობრივ ურთიერთობის დაწყების დასაშვები ასაკის შესახებ (%)




გოგონებისათვის სქესობრივი ურთიერთობების დაწყების დასაშვებმა საშუალო ასაკმა მოზარდების შეხედულებით სომხეთში 19,1 წ, აზერბაიჯანში 22,0 წ, საქართველოში 17,8 წ შეადგინა. ვაჟებისათვის იგივე მაჩვენებელი სომხეთში 17,7 წ-ს, აზერბაიჯანში 21,0 წ-ს, საქართველოში 16,4 წ-ს შეესაბამებოდა (დიაგრამა 13, ცხრილი 11). ამგარად, როგორც გოგონებისათვის, ისე ვაჟებისათვის სქესობრივი ურთიერთობის დაწყების დასაშვები საშუალო ასაკი ყველაზე მაღალი აღმოჩნდა აზერბაიჯანში და ყველაზე დაბალი საქართველოში (ცხრილი 11). აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ როგორც გოგონებისათვის, ასევე ვაჟებისათვის სქესობრივი ურთიერთობების დაწყებას მხოლოდ ქორწინების შემდეგ დასაშვებად მიიჩნევს მოზარდთა ყველაზე დიდი ნაწილი აზერბაიჯანში. საქართველოში სქესობრივი თავშეკავება ქორწინებამდე ქალებისათვის მიაჩნიათ მიზანშეწონილად რესპონდენტთა თითქმის ნახევარს, მაშინ როდესაც ვაჟებისათვის ამას საჭიროდ მიიჩნევს მოზარდთა მხოლოდ მეტად მცირე ნაწილი (4,5%). სომხეთში სქესობრივ თავშეკავებას ქორწინებამდე არა მარტო ვაჟებისათვის (0,8%), არამედ გოგონებისათვისაც (17,3%) კი მიზანშეწონილად მიიჩნევს რესპონდენტთა გაცილებით ნაკლები ნაწილი, ვიდრე აზერბაიჯანში და საქართველოში.

გამოკითხულ მოზარდთა უმრავლესობამ იცის, რომ შესაძლებელია დაორსულება პირველი სქესობრივი კონტაქტით, მაგრამ მათი წილი, ვინც არ იცის ამის შესახებ, მეტია საქართველოში და ასევე აზერბაიჯანშიც (ცხრილი 11). მოზარდების გაცილებით ნაკლებ წილს აქვს სწორი ცოდნა იმის შესახებ, მაგრებელია თუ არა თავშეკავება სქესობრივი მოთხოვნილების შემთხვევაში. სომხეთში მოზარდთა უმრავლესობამ (63,4%) იცის, რომ სქესობრივი თავშეკავება არ არის მავნებელი, აზერბაიჯანში და საქართველოში კი ამის შესახებ ცოდნა აქვთ მოზარდთა ერთ მეხუთედზე ნაკლებს.

შემთხვევით სქესობრივ კავშირს სახიფათოდ მიიჩნევს მოზარდთა დიდი უმრავლესობა სამივე ქვეყანაში (ცხრილი 11).

## დიაგრამა 14



განსხვავებული აღმოჩნდა ქვეყნების მიხედვით რესპონდენტთა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთან მიიჩნევენ მოზარდები დასაშვებად ქორწინებამდე სქესობრივ ურთიერთობებს. საქართველოში ორივე სქესის მოზარდების უმრავლესობა თვლის, რომ ვაჟებისათვის ასეთი ურთიერთობები

ქორწინებამდე დასაშვებია მემავთან. მოზარდების გაცილებით ნაკლები წილი აზერბაიჯანში და სომხეთში ეთანხმება ამგვარ მოსაზრებას (27,2% და 8,8% შესაბამისად). საქართველოსთან და განსაკუთრებით აზერბაიჯანთან შედარებით სომები მოზარდებს ადენიშნებათ გაცილებით ლიბერალური დამოკიდებულება ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობების მიმართ საცოლესთან და საქმროსთან (ცხრილი 12).


სომხეთში რესპონდენტთა დიდი უმრავლესობის (80,0%) ინფორმაციით თანატოლ გოგონებს ჰქონიათ სქესობრივი ურთიერთობა ქორწინებამდე, ასეთთა წილი გაცილებით ნაკლებია საქართველოში (29,1%) და კიდევ უფრო ნაკლები აზერბაიჯანში (18,5%). რაც შეეხება თანატოლი ვაჟების სქესობრივ აქტივობას ქორწინებამდე, სამივე ქვეყანაში მეტ-ნაკლებად მსგავსი მონაცემები გამოვლინდა (დიაგრამა 14, ცხრილი 12).

განსხვავებული აღმოჩნდა ქვეყნების მიხედვით თანატოლთა ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობების შეფასებები (ცხრილი 12ა).

თანატოლი ვაჟების შემთხვევაში ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობა რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ შეფასებული იქნა როგორც “ჩვეულებრივი ამბავი” საქართველოში (71,6%) და ასევე აზერბაიჯანში (62,6%). სომხეთში კი თითქმის თანაბარი სიხშირით იყო შეფასებული ასეთი ურთიერთობები როგორც “ჩვეულებრივი ამბავი” (26,6%), “მოიწონეს” (33,3%) და “გაკიცხეს” (38,1%). თანატოლი გოგონების შემთხვევაში ყველაზე ხშირი სამივე ქვეყანაში აღმოჩნდა შეფასება “გაკიცხეს”, განსაკუთრებით აზერბაიჯანში. თუმცა სომხეთში ასევე მაღალი იყო ისეთი შეფასების სიხშირე, როგორიცაა “მოიწონეს” (დიაგრამა 15, ცხრილი 12ა).

## დიაგრამა 15

თანატოლების ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობების შეფასება  
მოზარდების მიერ (%)




დადგინდა, რომ რესპონდენტთა ინფორმაციით მათი თანატოლი ვაჟების უფრო მეტი წილი არის ადრეულ ასაკში (14-15წ.) სქესობრივად აქტიური საქართველოში (39,9%), ვიდრე სომხეთში (22,8%) და აზერბაიჯანში (8,7%) (ცხრილი 13). განსხვავებული აღმოჩნდა თანატოლ მოზარდთა მიერ მათი პირველი სქესობრივი ურთიერთობების შეფასებები ქვეყნების მიხედვით (ცხრილი 13ა). ყველაზე ხშირად

ეს ურთიერთობა მოულოდნელად და სპონტანურად იყო შეფასებული სომხეთში (52,1%), საქართველოსთან (12,4%) და აზერბაიჯანთან (2,4%) შედარებით (დიაგრამა 16, ცხრილი 13).

## დიაგრამა 16

**მოზარდების მიერ თანატოლების პირველი სქესობრივი ურთიერთობის შეფასება (%)**




რესპონდენტთა თანატოლები იშვიათად ყოფილან სქესობრივი ძალადობის მცდელობის ობიექტი, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამასთან დაკავშირებით დაფიქსირდა სომხეთში (10,0%) და ყველაზე დაბალი კი – საქართველოში (3,6%) (ცხრილი 13).

პლევებით დადგინდა, რომ სქესობრივი ურთიერთობა გამოკითხული მოზარდებიდან საქართველოში ჰქონია 33,0%, სომხეთში – 28,6%, აზერბაიჯანში – 16,8% (ცხრილი 14). სამივე ქვეყანაში ვაჟების შესაბამისის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა გოგონებისას. ვაჟებისათვის იგი ყველაზე მაღალი იყო საქართველოში (62,5%), ხოლო გოგონებისათვის - სომხეთში (10,2%) (დიაგრამა 17, ცხრილი 14).

## დიაგრამა 17


**მოზარდების სქესობრივი აქტივობა (%)**



მეტად საინტერესო მონაცემები იქნა გამოვლენილი მოზარდთა პირველი სქესობრივი ურთიერთობის ასაკთან დაკავშირებით (ცხრილი 14). კერძოდ, 15 წლამდე პირველი სქესობრივი ურთიერთობა გოგონებს სომხეთში ყველაზე მაღალი სიხშირით ჰქონდათ (50,0%), როგორც თვით სომხეთში სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ისე აზერბაიჯანთან და საქართველოსთან შედარებით, სადაც ასეთი საერთოდ არ აღინიშნებოდა. ვაჟებში 15 წლის და 15 წლამდე ასაკში პირველი სქესობრივი ურთიერთობის სიხშირე ყველაზე მაღალი აღმოჩნდა საქართველოში, შემდეგ აზერბაიჯანში და ყველაზე მცირე – სომხეთში (დიაგრამა 18, ცხრილი 14).

## დიაგრამა 18


**მოზარდების განაწილება (%) პირველი სქესობრივი ურთიერთობის ასაკის მიხედვით**



პირველი სქესობრივი ურთიერთობის საშუალო ასაკი სამივე ქვეყანაში მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და პარტნიორთა საშუალო ასაკი, როგორც გოგონების, ასევე ვაჟების შემთხვევაში, ოთხი და მეტი წლით აღემატებოდა მათ ასაკს (დიაგრამა 19 და 20, ცხრილი 14).


## დიაგრამა 19

**მოზარდი გოგონებისა და მათი პარტნიორების საშუალო ასაკი (წლებში) პირველი სქესობრივი ურთიერთობისას**



## დიაგრამა 20

მოზარდი გაუებისა და მათი პარტნიორების საშუალო ასაკი (წლებში) პირველი სქესობრივი ურთიერთობისას



განსხვავებული შეხედულებები გამოვლინდა ქვეყნების მიხედვით ქორწინების გარეშე დაორსულების შემთხვევაში თანატოლებისათვის მიცემული რჩევის გათვალისწინებით. აღმოჩნდა, რომ ქორწინების გარეშე დაორსულების შემთხვევაში თვით სასურველი ორსულობისასაც აზერბაიჯანელი მოზარდები უსმირესად (61%) ორსულობის შეწყვეტას მიიჩნევენ მიზანშეწონილად (ცხრილი 14), ქართველი მოზარდების მხოლოდ მეტად მცირე წილი (4,2%) იზიარებს ამ შეხედულებას; სომეხი მოზარდების დაახლოებით ერთი მეხუთედი ეთანხმება ასეთ მოსაზრებას. საქართველოში მოზარდოთა ნახევარზე მეტი (54%) და სომხეთში მათი 45% თვლის, რომ სასურველი ორსულობისას მათმა თანატოლმა ქორწინების გარეშე დაორსულების შემთხვევაშიც უნდა გააჩინოს ბავშვი და აღზარდოს. განუზრახავი თრსულობისას, ორსულობის შეწყვეტას მიზანშეწონილად თვლის მოზარდოთა უფრო მეტი წილი სამივე ქვეყანაში, მათგან საქართველოში ყველაზე ნაკლები (სომხეთი – 51,3%, აზერბაიჯანი – 45,0%, საქართველო – 21,5%).


## აბორტი და კონტრაცეპცია: ინფორმირებულობა, ცოდნა, გამოყენება, შეხედულებები

გამოკითხულ მოზარდთა, როგორც გოგონების, ასევე ვაჟების ძირითადმა უმრავლესობამ სომხეთში და საქართველოში (97,4% და 97,7% შესაბამისად), უფრო ნაკლებმა წილმა აზერბაიჯანში (79,8%), იცის რა არის აბორტი (ცხრილი 15). მოზარდები სამივე ქვეყანაში მსგავსი სიხშირებით იცნობენ აბორტის მავნე სამედიცინო შედეგებს, ყველაზე ხშირად უნაყოფობის და ყველაზე იშვიათად აღმავალი სასქესო ინფექციების სახით.

განსხვავებული აღმოჩნდა ქვეყნების მიხედვით მოზარდთა მიერ აბორტის შეფასებები (დიაგრამა 21, ცხრილი 15).

### დიაგრამა 21


**მოზარდების მიერ აბორტის შეფასება (%)**



დადგინდა, რომ სამივე ქვეყანაში მოზარდების უმეტესობა თვლის, რომ აბორტი მავნეა ჯანმრთელობისათვის. გამოკვეთილად დიდია იმ მოზარდების წილი საქართველოში, რომელიც აბორტს რელიგიურ ცოდვად აფასებს, ხოლო სომხეთში კი – განუზრახავი ორსულობის თავიდან აცილების მეთოდების შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის უქონლობის შედეგებს.

მოზარდთა უმრავლესობა სამივე ქვეყანაში ინფორმირებულია განუზრახავი ორსულობის თავიდან აცილების შესაძლებლობაზე და სმენია ამ მეთოდების შესახებ, მათგან ნაკლები სიხშირით აზერბაიჯანში, განსაკუთრებით გოგონებს (დიაგრამა 22, ცხრილი 15).


## დიაგრამა 22



საკმაოდ განსხვავებული მონაცემები იქნა მიღებული ქვეყნების მიხედვით განუზრახავი ორსულობის თავიდან აცილების კონკრეტული მეთოდების შესახებ ინფორმირებულ და მცოდნე მოზარდთა სიხშირეების შედარების შედეგად (დიაგრამა 23, ცხრილი 16).

## დიაგრამა 23

მოზარდთა ინფორმირებულობა და ცოდნა კონტრაცეპციის კონკრეტული მეთოდების შესახებ (%)



დადგინდა, რომ სამივე ქვეყანაში მოზარდთა უმრავლესობა ინფორმირებულია კონდომის შესახებ. საქართველოში სქესობრივი თავშეკავების შესახებ სმენია მოზარდთა ყველაზე დიდ ნაწილს (73,0%), სომხეთში კონდომის (99,0%) და შეწყვეტილი სქესობრივი აქტის (96,0%), ხოლო აზერბაიჯანში კონდომის (79,0) შესახებ. საქართველოში, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, უფრო მაღალია ინფორმირებულთა სიხშირე ყოველდღიური პორმონული აბების, საშვილოსნოსშიგა საშუალებების, გადაუდებელი კონტრაცეპციის, ძუძუთი კვების და კალენდარული მეთოდის შესახებ.

რაც შეეხება კონტრაცეპციის კონკრეტული მეთოდების ცოდნას, მეთოდთა უმრავლესობისთვის მცოდნეთა სიხშირე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო ინფორმირებულთა სიხშირესთან შედარებით, გამონაკლის სამივე ქვეყნისათვის კონდომი წარმოადგენდა, რომლის შემთხვევაშიც ეს სხვაობა მინიმალური იყო. აზერბაიჯანში კონდომის შესახებ ინფორმირებულ და მცოდნე გოგონების წილი ყველაზე დაბალი აღმოჩნდა. სომხეთში მინიმალური იყო ასევე სხვაობა შეწყვეტილი სქესობრივი აქტის შესახებ ინფორმირებულთა და მცოდნეთა სიხშირეებს შორის, როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში.

კონტრაცეპციის შესახებ ინფორმაციის ყველაზე ხშირ წყაროს მოზარდებისათვის სამივე ქვეყანაში თანატოლები წარმოადგენენ. განსხვავებით საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან სომეხი მოზარდები მეტად მაღალი სიხშირით წიგნებიდან და ბროშურებიდან იღებენ აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციას. ქართველი მოზარდებისათვის ინფორმაციის ასევე მნიშვნელოვან წყაროს კონტრაცეპციის საკითხებში უფროსი ასაკის ნაცნობები და ტელევიზია წარმოადგენს.

სამივე ქვეყანაში მოზარდთა უმრავლესობამ იცის, რომ კონტაცეპციული საშუალებების მოპოვება შესაძლებელია აფთიაქში (ცხრილი 20), თუმცა სომხეთში, შესაძლებელია ადგილობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, მოზარდების უმრავლესობა თვლის, რომ აღნიშნული საშუალებების მოპოვება შესაძლებელია კერძო კლინიკებში და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელშიც. სომეხი და ქართველი მოზარდების უფრო მეტ ნაწილს, ვიდრე აზერბაიჯანელებისა, მიაჩნია რომ საშვილოსნოსშიგა საშუალებების მოპოვება სწორედ სამედიცინო დაწესებულებებშია შესაძლებელი.

პირველი სქესობრივი ურთიერთობებისას კონტრაცეპციის რომელიმე მეთოდი გამოიყენა ქართველი მოზარდების უმრავლესობამ (80,5%) და აზერბაიჯანელი მოზარდების ნახევარზე ოდნავ მეტმა (54,7%). ამასთან, შემთხვევათა ძირითადი უმრავლესობისათვის ეს იყო კონდომი (97%-მდე). აზერბაიჯანელი მოზარდებისათვის პირველი სქესობრივი ურთიერთობისას კონტრაცეპციის არგამოყენების მიზეზთა შორის წამყვანი იყო ის, რომ სქესობრივი კავშირი იყო მოუღლენელი (55,4%), საქართველოში შესაბამისი მაჩვენებელი უფრო ნაკლები იყო (21,7%) (ცხრილი 21).

კონტრაცეპციის გამოყენებისათვის ყველაზე ხშირ პირობას, როგორც აზერბაიჯანელი, ასევე ქართველი მოზარდებისათვის მისი უსაფრთხოება წარმოადგენდა (ცხრილი 22).


ქართველი მოზარდებისათვის კონტრაცეპციის ამჟამად არგამოყენების მიზეზთა შორის წამყვანი იყო სქესობრივი ურთიერთობების არქონა, ხოლო აზერბაიჯანელი მოზარდებისათვის ზემოხსენებულ მიზეზთან ერთად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანელი მოზარდები კონტრაცეპციის გამოყენებას რელიგიურ ცოდვად თვლიდნენ (ცხრილი 22).

სქესობრივი თავშეკავებას ქორწინებამდე მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოკითხულ მოზარდთა უმრავლესობა, უხშირესად გოგონები, სამივე ქვეყანაში, ყველაზე დიდი წილი აზერბაიჯანში (ცხრილი 23).

ქორწინებამდე სქესობრივი თავშეკავების რეალურობის შესახებ მოზარდთა შეხედულებები ქვეყნების მიხედვით მსგავსი აღმოჩნდა (დიაგრამა 24, ცხრილი 23).

#### დიაგრამა 24

მოზარდების შეხედულება ქორწინებამდე სქესობრივი თავშეკავების რეალურობის შესახებ (%)




ქორწინებამდე სქესობრივ თავშეკავებას მამაკაცებისათვის ნაკლებად რეალურად თვლიან სამივე ქვეყანაში, როგორც ვაჟები, ასევე გოგონები. ხოლო ქალებისათვის ქორწინებამდე სქესობრივ თავშეკავებას ორივე სქესის მოზარდების უმრავლესობა რეალურად მიიჩნევს.

სამივე ქვეყანაში რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით განუზრახავი ორსულობის თავიდან აცილებაზე ორივე სქესობრივგა პარტნიორმა უნდა იზრუნოს (დიაგრამა 25, ცხრილი 23). ყველაზე მაღალი სიხშირით ეს მაჩვენებელი საქართველოში დაფიქსირდა (80,3%). სომეხი ვაჟების ყველაზე დიდი წილი მიიჩნევს, რომ განუზრახავი ორსულობის თავიდან აცილებაზე ქალმა უნდა იზრუნოს (45,0%).

#### დიაგრამა 25

მოზარდების შეხედულება, თუ ვინ უნდა იზრუნოს განუზრახავი ორსულობის თავიდან აცილებაზე (%)



## მოზარდთა რეპროდუქციული გეგმები და ფუნქცია

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვა ჩატარდა მოზარდებში, რომელთა ძირითად უმრავლესობას ჯერ არ ჰქონდა ოჯახი შექმნილი, მათ დიდ ნაწილს უკვე უფიქრია ბავშვების სასურველ რაოდენობაზე, თუმცა ყველაზე ნაკლები სიხშირით აზერბაიჯანში (ცხრილი 24). ბავშვების სასურველი საშუალო რაოდენობა ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა, თუმცა ყველაზე მაღალი ეს მაჩვენებელი საქართველოში აღმოჩნდა (სომხეთი – 2,1, აზერბაიჯანი – 2,0, საქართველო – 2,6).

ვინაიდან კვლევებში მონაწილეთა ძირითადი უმრავლესობა ქორწინებაში არ იმყოფებოდა, ბავშვების ფაქტობრივი საშუალო რაოდენობა აღმოჩნდა ძალიან მცირე, ისიც უფროსი ასაკის (17-19წ) ახალგაზრდა ქალების ხარჯზე და არ აღემატებოდა 1-ს. ბავშვთა მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა სომხეთში და აზერბაიჯანში (2,0 და 2,0 შესაბამისად) 2-ჯერ აღემატებოდა შესაბამის მაჩვენებელს საქართველოში (1,0).

გამოკითხულ მოზარდთა შორის ორსულობათა მცირერიცხოვნობა მათი ანალიზით რაიმე კანონზომიერების დადგენის საშუალებას არ იძლევა (ცხრილი 25, 26, 27).

### სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები: ინფორმირებულობა, ცოდნა, შეხედულებები


მოზარდთა ყველაზე დიდმა ნაწილმა სამივე ქვეყანაში იცის აივ/შიდსის, შედარებით ნაკლებმა ნაწილმა – სიფილისის და გონორეის შესახებ. სომხეთში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ ინფორმირებულობა გაცილებით მაღალი სიხშირე დადგინდა, ვიდრე საქართველოში. ეს მაჩვენებლები მეტად დაბალი იყო აზერბაიჯანში. საინტერესოა, რომ სხვა ინფექციებისაგან განსხვავებით სომხეთში მოზარდების მეტად მცირე წილმა იცის ჰეპატიტების შესახებ, მაშინ როცა საქართველოში ასეთთა სიხშირე 4-ჯერ და აზერბაიჯანში კი 3-ჯერ უფრო მაღალია (ცხრილი 28).

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების კონკრეტული დამახასიათებელი ნიშნების მცოდნე მოზარდთა სიხშირე ყველაზე მაღალი იყო სომხეთში. აზერბაიჯანში და საქართველოში მოზარდების ცოდნა ამ საკითხებში არასრულყოფილი აღმოჩნდა (დიაგრამა 26, ცხრილი 28).

განსხვავებები მოზარდთა სქესის მიხედვით ნაკლებად მკვეთრი იყო სომხეთში და საქართველოში.

## დიაგრამა 26

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დამახასიათებელი  
ნიშნების ცოდნა მოზარდთა მიერ (%)



სამივე ქვეყანაში მოზარდთა უმრავლესობამ იცის, რომ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები შესაძლებელია მიმდინარეობდეს ფარულად (სომხეთი – 87,5%, აზერბაიჯანი – 91,7%, საქართველო – 68,2%) (ცხრილი 28). ამასთან, მათმა ძირითადმა უმრავლესობამ იცის, რომ აღნიშნულ ინფექციებზე ეჭვის შემთხვევაში უნდა მიმართოს ექიმს.


გამოკითხულ მოზარდთა დიდმა უმრავლესობამ სამივე ქვეყანაში იცის აიგ/შიდსის გადაცემის ყველაზე პოპულარული გზები, როგორებიცაა ინფიცირებული სისხლის გადასხმა, სქესობრივი აქტი ქალსა და მამკაცს შორის, აიგ/შიდსით დაავადებული ორსულიდან ნაყოფზე, სამედიცინო ინსტრუმენტების არასრულყოფილი სტერილიზაციის შემთხვევაში (ცხრილი 30). ამასთან, სომხეთში რესპონდენტთა ერთ მეხუთედზე ოდნავ მეტმა იცის მხოლოდ იმის შესახებ, რომ დედის რძით შესაძლებელია ბავშვის ინფიცირება. აზერბაიჯანში გამოვლინდა გადაჭარბებული შიში აიგ/შიდსით დაინფიცირების მიმართ, რაც გამოიხატა იმაში, რომ აზერბაიჯანელი მოზარდების უმრავლესობის აზრით აიგ/შიდსი გადაეცემა საზოგადოებრივი ტუალეტის ხმარებით, ხელის ჩამორთმევით, გადასხმისათვის სისხლის გაცემით და სხვა (ცხრილი 30).

მოზარდთა უმრავლესობის აზრით სამივე ქვეყანაში გარკვეულ სიტუაციებში მიზანშეწონილია გამოკვლევა სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე და აიგ/შიდსზე, მაგრამ განსხვავებული აღმოჩნდა ქვეყნების მიხედვით იმათი წილი, ვინც თვლის თუ რა შემთხვევაშია ამ გამოკვლევის ჩატარება მიზანშეწონილი (დიაგრამა 27, ცხრილი 33). კერძოდ, სომხეთში დიდი უმრავლესობის შეხედულებით ეს გამოკვლევა უნდა ჩატარდეს შემთხვევითი სქესობრივი კავშირის შემდეგ და

პერიოდულად. აზერბაიჯანში უფრო მეტი წილი მიიჩნევს ამ გამოკვლევის ჩატარებას მიზანშეწონილად დაქორწინებს წინ, საქართველოში კი – პერიოდულად. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანელი და ქართველი მოზარდები ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას შემთხვევით სქესობრივი კავშირის საშიშროებაზე.

## დიაგრამა 27

**მოზარდთა აზრი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებზე და აივ/შიდს-ზე გამოკვლევის მიზანშეწონილობის შესახებ (%)**



განსაკუთრებით საინტერესო იყო მოზარდთა შეხედულებების დადგენა იმის შესახებ, თუ რა გზებით შეიძლება სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, მათ შორის აივ/ შიდსით გადადების რისკის შემცირება. დადგინდა რომ სამივე ქვეყანაში მოზარდთა უმრავლესობამ იცის ეს გზები (ცხრილი 33). ამასთან, გამოვლინდა მეტად საყურადღებო ფაქტი იმის შესახებ, რომ სომეხი მოზარდების დიდ უმრავლესობას აქვს მცდარი შეხედულება და რისკის შემცირების გზებს აღნიშნული ინფექციების თავიდან აცილების გარანტიად თვლის. ასეთ შეხედულებას უფრო ნაკლები სისმირით იზიარებენ მოზარდები აზერბაიჯანში და კიდევ უფრო ნაკლები სისმირით საქართველოში. ის ფაქტი, რომ სომეხი მოზარდების 100% სქესობრივ თავშეკავებას განიხილავს აღნიშნული ინფექციებისგან თავდაცვის გარანტიად, მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ამ შემთხვევაში არ გულისხმობენ ამ ინფექციების გადადების სხვა გზებს. ამასთან კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მათ იციან სასქესო ინფექციების გადადების სხვა გზების შესახებაც (ცხრილი 35).


## მოზარდთა მიერ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურების გამოყენება და თვითშეფასება

მოზარდთა აბსოლუტური უმრავლესობა (100%) სომხეთში თვლის, რომ პუბერტატში გამოვლენილ არამარტო პათოლოგიური, არამედ ზოგ შემთხვევაში ფიზიოლოგიური ცვლილებების შემთხვევაშიც (გამონაყარი სახეზე) უნდა მიმართოს ექიმს (ცხრილი 36). აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაცემები მეტ-ნაკლებად მსგავსია. ამ ქვეყნებში მოზარდების დიდი უმრავლესობა ექიმთან მიმართვის საჭიროებას ხედავს სქესობრივ და ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენის, მენსტრუაციული ციკლის დარღვევების და ჭარბობიანობის შემთხვევებში. აზერბაიჯანელი და ჭართველი მოზარდების დაახლოებით ნახევარი ექიმთან მიმართვას მიზანშეწონილად თვლის ასევე გამოხატული სიგამხდრის, სიმსუქნის, ნაადრევი სქესობრივი მომწიფების და სახეზე გამონაყარის არსებობისასაც. თუმცა, მაინც რჩება პრობლემა იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად სწორად შეუძლიათ მოზარდებს მენსტრუაციული ციკლის დარღვევების სწორად შეფასება.

რესპონდენტ გოგონათა უფრო მეტ წილს სომხეთში (45%), ვიდრე აზერბაიჯანში (18,55%) და საქართველოში (12,0%) უკვე პქონია ვიზიტი გინეკოლოგთან (ცხრილი 37). განსხვავებული აღმოჩნდა გინეკოლოგთან ვიზიტის მიზეზები ქვეყნების მიხედვით. საქართველოში და განსაკუთრებით აზერბაიჯანში ვიზიტა უმრავლესობა უკავშირდებოდა მენსტრუაციულ პრობლემებს, სომხეთში კი - კონტრაცეპციას (დიაგრამა 28, ცხრილი 37).

### დიაგრამა 28

**გინეკოლოგთან მოზარდი გოგონების მიმართვიანობის მიზეზები (%)**




ეს შედეგები გარკვეულად ასახავს კვლევის წინა მონაცემებს, კერძოდ, სომხეთში გოგონათა სქესობრივი აქტივობის შესახებ შეხედულებებს და თვით აქტივობას.

მოზარდ ვაჟებს ვენეროლოგისათვის ან რეპროდუქტოლოგისათვის, გაცილებით იშვიათად მიუმართავთ, ვიდრე გოგონებს, ქვეყნების მიხედვით ყველაზე ხშირად აზერბაიჯანში (სომხეთი – 5%, აზერბაიჯანი – 13,8%, საქართველო – 3,9%) (ცხრილი 38).

განსხვავებული აღმოჩნდა ზემოაღნიშნულ სპეციალისტებთან მოზარდი ვაჟების მიმართვიანობის მიზეზების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით (დიაგრამა 29, ცხრილი 38).

## დიაგრამა 29

**რეპროდუქტოლოგთან მოზარდი ვაჟების მიმართვიანობის მიზეზები (%)**



საქართველოში ექიმთან მიმართვის უხშირეს მიზეზს ვაჟებისათვის სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა (70,1%). აზერბაიჯანში კი – პროფილაქტიკური გასინჯვა (36,9%). სომხეთში მოზარდი ვაჟების ექიმ სპეციალისტთან მიმართვები უსფრთხო სქესის და სასქესო ინფექციების პრობლემებით იყო განპირობებული (5,0% და 7,5% შესაბამისად).

მოზარდთა ძირითადი უმრავლესობა თავის ჯანმრთელობას სომხეთში „კარგად“ აფასებს (98,8%), აზერბაიჯანში ეს შეფასება უფრო ნაკლები სიხშირით გვხვდება (83,1%), საქართველოში კი – კიდევ უფრო ნაკლებით (64,1%). საქართველოში მოზარდთა საკმაოდ დიდი (34,9%) თავის ჯანმრთელობას „დამაკმაყოფილებლად“ თვლის. შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ საკლევ ჯუზში სქესისა და ასაკის მიხედვით 2,2%-ს არ აღემატება (ცხრილი 39).

თვითშეფასების შედეგები იმასთან მიმართებაში, რომ მოზარდები არიან ნორმალური აღნაგობის და „თავის სხეულში თავს კარგად გრძნობენ“, ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. მოზარდთა უმრავლესობა ეთანხმება ამ მოსაზრებას. ამასთან, სომქე მოზარდთა ყველაზე დიდი (34,9%) თვლის, რომ არის გარეგნულად მიმზიდველი (85%). აზერბაიჯანში ამ მოსაზრებას იზიარებს მოზარდთა 67.7%, საქართველოში კი – მხოლოდ 44%.

გამოკითხულ მოზარდთა უმრავლესობა სამივე ქვეყანაში ზრუნავს ჯანმრთელობაზე ფიზიკური ფორმის შენარჩუნებით და იყენებს თავისი თავის მოვლის საშუალებებს (ცხრილი 39).

## დასკვნები

1. გამოკითხულ მოზარდთა უმრავლესობა სამივე ქვეყანაში არის სკოლის მოსწავლე, ან სტუდენტი (სომხეთში – 82,2%, აზერბაიჯანში – 88,7%, საქართველოში – 91,8%). სკოლადამთავრებულთაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა რესპონდენტთა ყველაზე მეტი წილი აზერბაიჯანში (სომხეთში – 10,2%, აზერბაიჯანში – 18,4%, საქართველოში - 4,2%). დამოუკიდებლად მცხოვრებ მოზარდთაგან მშობლებისაგან დახმარებას ყველაზე ხშირად იღებენ ასევე აზერბაიჯანში (სომხეთი – 3,2%, აზერბაიჯანი – 34,6%, საქართველო – 22,1%). სკოლადამთავრებულთაგან მშობლების კმაყოფაზე იმყოფება მოზარდთა დიდი უმრავლესობა სომხეთში (86,6%) და საქართველოში (73,7%) და ნახევარზე ნაკლები აზერბაიჯანში (47,0%).  
აზერბაიჯანში გამოკითხულ მოზარდთა უმრავლესობის ეკონომიკური სტატუსი მაღალი იყო (75,6%), საქართველოში (73,8%) და სომხეთში (81,5%) კი – უმრავლესობის სტატუსი საშუალოთი განისაზღვრა.
2. რესპონდენტთა ძირითადი უმრავლესობა სამივე ქვეყანაში ქორწინებაში არასოდეს იმყოფებოდა (სომხეთი – 98,7%, აზერბაიჯანი – 99,5%, საქართველო – 99,2%).  
ქორწინებისათვის საუკეთესო ასაკზე შეხედულების მიხედვით ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლინდა. ქორწინებისათვის საუკეთესო საშუალო ასაკი, როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის უმნიშვნელოდ მაღალი იქნა დასახელებული აზერბაიჯანელი მოზარდების მიერ.
3. გამოკითხულ მოზარდთათვის სამივე ქვეყანაში სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ყველაზე ხშირ წყაროს თანატოლები წარმოადგენენ, განსაკუთრებით აზერბაიჯანში. აზერბაიჯანში და საქართველოში აღნიშნულ ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს მოზარდებისათვის ასევე მშობლები წარმოადგენენ, მაშინ როდესაც სომხეთში ტელევიზია მშობლებზე უფრო მეტი სიხშირით გვევლინება ინფორმაციის წყაროდ.  
მნიშვნელოვანი სხვაობები გამოვლინდა ქვეყნების მიხედვით სქესთან დაკავშირებული ინფორმაციის წყაროების სანდოობასთან დაკავშირებით. ექიმისაგან მიღებულ ინფორმაციას სომხეთში და საქართველოში უფრო ხშირად განიხილავენ სანდოდ, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში ასეთად ყველაზე ხშირად თანატოლებისაგან მიღებულ ინფორმაციას თვლიან. მაღალი სანდოობით გამოიჩინა მშობლებისაგან მიღებული ინფორმაციაც საქართველოში და განსაკუთრებით აზერბაიჯანში, ხოლო სომხეთში მშობლებზე ოდნავ ხშირად ინფორმაციის სანდო წყაროდ წიგნებს და ბროშურებს ასახელებენ.
4. გამოკითხულ მოზარდთა ძირითადი უმრავლესობა (93,7%) სომხეთში თვლის, რომ სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა ისწავლებოდეს. აზერბაიჯანში ასეთთა წილი უფრო ნაკლებია (76,4%), საქართველოში კი – კიდევ უფრო მცირე (52,9%). ამასთან, სომხეთში მოზარდთა ნახევარი მიიჩნევს, რომ აღნიშნული განათლება უნდა ხდებოდეს როგორც სკოლაში, ასევე მის გარეთ. აზერბაიჯანსა და საქართველოში მოზარდები უპირატესობას სასკოლო განათლებას ანიჭებენ.  
სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებში განათლების დაწყების მისაღებ ვადად სომეხი მოზარდები უფრო დაბალ

კლასებს მიიჩნევენ (IX კლასამდე), ვიდრე აზერბაიჯანელი და ქართველი მოზარდები (IX კლასიდან). სამივე ქვეყანაში აღნიშნულ საკითხებში ყველაზე მისაღებ განმანათლებლად მოზარდების უმრავლესობა ახალგაზრდა, სპეციალურად მომზადებულ პირს განიხილავს.

რესპონდენტთა საკმაოდ დიდ ნაწილს (37%-63%-ის ფარგლებში) სჭირდება უფრო მეტი ინფორმაცია სქესთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე სამივე ქვეყანაში.

5. პუბერტატში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების შესახებ სამივე ქვეყანაში გამოკითხულ მოზარდებს აქვთ არასრულყოფილი ცოდნა, უფრო ხშირად სომხეთში.

გამოკითხულ გოგონათა დაახლოებით ნახევარს სამივე ქვეყანაში პქონდა ინფორმაცია მენსტრუაციების შესახებ მათ დაწყებამდე, თუმცა აზერბაიჯანში და საქართველოში მენსტრუაციული დარღვევების სწორედ შეფასება შეუძლია მათ საკმაოდ მცირე ნაწილს. ამ საკითხებში სწორი ცოდნა უფრო მაღალი სიხშირით გამოვლინდა სომებ გოგონებში.

ვაჟებში პუბერტატში მიმდინარე ცვლილებების შესახებ მის დადგომამდე აზერბაიჯანელი მოზარდი ვაჟების ყველაზე დიდი ნაწილი აღმოჩნდა ინფორმირებული (81,1%), სომხეთში და საქართველოში კი - მათ ნახევარზე ოდნავ ნაკლები.

6. სქესობრივი ურთიერთობების დაწყებას მხოლოდ ქორწინების შემდეგ დასაშვებად მიიჩნევს გამოკითხულ მოზარდთა ყველაზე დიდი ნაწილი აზერბაიჯანში. საქართველოში ქალებისათვის სქესობრივი თავშეკავება ქორწინებამდე მიზანშეწონილად მიაჩნია რესპონდენტთა თითქმის ნახევარს, მაშინ როდესაც ვაჟებისათვის ამას საჭიროდ მიიჩნევს მოზარდთა მხოლოდ მეტად მცირე ნაწილი (4,5%). სომხეთში სქესობრივ თავშეკავებას ქორწინებამდე არა მარტო ვაჟებისათვის (0,8%), არამედ გოგონებისთვისაც (17,3%) კი მიზანშეწონილად თვლის რესპონდენტთა გაცილებით ნაკლები წილი, ვიდრე აზერბაიჯანში და საქართველოში.

7. სქესობრივად აქტიურ რესპონდენტ ვაჟთა სიხშირე სამივე ქვეყანაში ნაკლებად განსხვავდება მათ მიერ დასახელებული თანატოლების შესაბამისი მაჩვენებლისაგან, მაშინ, როდესაც გოგონების შემთხვევაში სქესობრივად აქტიური თანატოლების სიხშირე ბევრად მაღალი აღმოჩნდა რესპონდენტ გოგონათა შესაბამის მაჩვენებელზე.

